საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/6083
13/10/2022

6083-21-2-202210131432

ი/მ თეიმურაზ კუხიანიძეს
მის: ქ. ქუთაისი, ნ. ბარათაშვილის ქ. №26
ელ.ფოსტა: ltd.elshouse@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №5481 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ქუთაისში, სულხან-საბას ქ. №8-ში, მეორადი პოლიეთილენის (დანაწევრებული თოკები) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილ სკრინინგის ანგარიშში არასწორად არის გამოყენებული მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ხვედრითი კოეფიციენტების მნიშვნელობა, შესაბამისად არასწორია წარმოდგენილი მავნე ნივთიერებათა გაფრქვევები, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის თანახმად, „ნარჩენების დაქუცმაცებისას დანაკარგი არის დაახლოებით 10% (პოლიმერული მტვერი)“. თუმცა აღნიშნული დანაკარგი არ არის განხილული სკრინინგის ანგარიშის მე-8 თავში (ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე) წარმოდგენილ გაფრქვევის ნაწილში. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული დანადგარების დეტალური აღწერა და სრული ტექნოლოგიური ციკლი (მათ შორის, დანადგარების ტექნიკური მახასიათებლების შესახებ მონაცემები, შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმით და სხვა).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო